ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

28 (10066) 7 ivlisi • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

როგორ ემზადებიან არჩევნების მეორე ტურისთვის

მარი კოკოევი

თუ როგორ ემზადება ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისია ქ. ოზურგეთის მერის არჩევნების II ტურის ჩასატარებლად, ამის შესახებ საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ზვიად თენიეშვილი** გვესაუბრა:

–. როგორც ვიცით თვითმმართველი ქალაქის არჩევნების მეორე ტური გაიმართება 12 ივლისს. საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის მეორე ტურის ჩასატარებლად. ასევე შემიძლია გითხრათ საკრებულოების პირველი სხდომების გამართვასთან დაკავშირებით. საკრებულოების სხდომები გაიმართება 2 აგვისტოს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს – 11 საათზე, თვითმმართველი ქალაქის – 10 საათზე.

– ბატონო ზვიად, წინა ტურში ბევრი ბიულეტენი გაბათილდა. არ ვგულისხმობ იმ ბიულეტენებს, რომლებიც ამომრჩევლის მიზეზით გაბათილდა. იმ ბიულეტენებს ვგულისხმობ, რომელზეც არ იყო ბეჭედი და ხელმოწერა. რა გაკეთდა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად?

–სტატისტიკას თუ გადავხედავთ, წინა წლებში გაბათილებული ბიულეტენები პროცენტულად არ ჩამოუვარდება 2014 წლის არჩევნებისას. წლევანდელ არჩევნებზე იყო სამი ბიულეტენი, რაც გაბათილების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. 2012 და 2014 წლების არჩევნებს შორის ერთი პროცენტია სხვაობა მხოლოდ. (სტატისტიკის მიხედვით გაბათილებული ბიულეტენების პროცენტობა ასეთია: პროპორციული – **4,57.** მაჟორიტარული – **4,07.** გამგებელი – **5,08.** მერი –**3,57.**)

–გავრცელდა ხმები რომ, არჩევნების I ტურის დღეს თქვენი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია მერობის ერთ -ერთი კანდიდატის მუქარამ თქვენი მისამართით. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

–რაც შეეხება ჩემი ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტს, ყველა ადამიანი შეიძლება გახდეს ავად, მაგრამ ეს არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტული კანდიდატის მხრიდან ზეწოლას. მსგავსი რამ არ ყოფილა. არანაირი ურთიერთობა კანდიდატებთან არ მაქვს. როგორც თქვენ იცნობთ ისე ვიცნობ მეც. სხვა არანაირი ურთიერთობა მათთან არ მაქვს.

ავთანდილ სურგულაძე: „მუშაობას ვაგრძელებ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც არჩევნებამდე მქონდა.“

მარი კოკოევი

თუ როგორ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას 2010 წლიე მოწვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ავთანდილ სურგულაძე** გვპასუხობს:

–არავითარი ცვლილება არ არის. ასევე უფლებამოსილება გაუგრძელდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს. 2 აგვისტოს როცა ჩატარდება საკრებულოს პირველი სხდომა, მაშინ ავტომატურად შეგვიწყდება უფლებამოსილება. ამ ეტაპზე არავითარი შეზღუდვა არ გვაქვს. ერთადერთი ის არის, რომ ქონების, რომელიც გაიმიჯნა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქს შორის გასხვისებას ვერ მოვახდენთ.

რადგან ჩვენ გაგვიგრძელეს უფლებამოსილების ვადა, საკრებულო აუცილებლად ჩაატარებს ერთ სხდომას ორ აგვისტომდე. ველოდებით მთვრობის სხდომას, როცა მიიღება განკარგულება. აღნიშნულ სხდომაზე განვიხილავთ მიმდინარე საკითხებს. .

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2010-2014 წლის მოწვევის საკრებულო

წმ. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის კონჭკათის ტაძარი პირვანდელ სახეს იბრუნებს

ნუგზარ ასათიანი

გასული საუკუნის 80-იან წლებში ოზურგეთელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ყოველწლიურად სტუმრობდა ისტორიულ ძეგლებს. ამ „მოგზაურობებს“ ნიჭიერი ისტორიკოსი ენვერ გოგუაძე უძღვებოდა. „სუფსა-მოგროსის“ ქვეყნის თემა ხშირად იყო მსჯელობის საგანი. „უძველეს საოცრებებს“ შორის კონჭკათის წმ. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის ნანგრევებიც შედიოდა.

დადგა ჟამი მშენებლობისა და დიდი ქველმოქმედის, ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ“ ასეულობით ეკლესია-მონასტერი აღადგინა. როგორც ამბობენ, ეს მისთვის რიგით 557-ე ტაძარია, პირვანდელ სახეს რომ იბრუნებს.

ბოლო ერთ თვეში მეორედ ვესტუმრე ტაძარს. კვლავ სიყვარულით შეგვეგება **მამა პეტრე (გოგეშვილი):**

– აპრილში დაიწყო წმ. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რესტავრაცია. ეს გახლავთ ბაზილიკური ორნავიანი ტაძარი. სავარაუდოდ მე-6 მე-7 საუკუნეში უნდა იყოს აგებული. ეს ტაძარი გურიელებს ბაილეთისა და ჩოჩხათის ეკლესიებთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ. აქ, რომ ძლიერი სამონასტრო ცხოვრება იყო და საკმაოდ კარგი მეურნეობა ჰქონდათ, ისიც ადასტურებს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოველწლიურად აგზავნიდნენ ძღვენს.

1776 წლის ჩანაწერებში შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი იხსენიება. მონასტერი მამია მე-5 გურიელის დროსაც მოქმედებდა...

მონასტერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკა ანთაძე და სპეციალისტები ეწვივნენ.

ნიკა ანთაძე: – ჩვენი ვარაუდით, ეს ტაძარი მე-13 საუკუნეში უნდა იყოს აგებული. იგი ჯუმათის მონასტრის სტილისაა. ამ ტაძრის რესტავრაციის პროექტი 2008 წელში გაკეთდა. გვინდა ტაძარს ძველი სახე მთლიანად შევუნარჩუნოთ..

მალე შემოქმედის მონასტერში დავიწყებთ სარესტავრაციო სამუშაოებს. გუმბათოვანი ეკლესია უნდა გადავხუროთ და სხვა აღდგენითი სამუშაო უნდა ჩავატაროთ. უახლოეს ხანში ასევე დავიწყებთ ლიხაურის ციხის აღდგენით სამუშაოებს და შემდეგ აჭის წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაციას. რაც შეეხება დვაბზუს უძველეს ეკლესიას, ეს შემდეგ ეტაპზე უნდა გაკეთდეს.

ოზურგეთში ჩვენ გავხსნით საინფორმაციო ცენტრს, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაციების მიღება იქნება შესაძლებელი.

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

7 ივლისი ორშაბათი	8 ივლისი სამშაბათი	9 ივლისი ოთხშაბათი	10 ივლისი ხუთშაბათი	11 ივლისი პარასკევი	12 ივლისი შაბათი	13 ივლისი კვირა
წვიმა +18+23	ღრუბელი +18+24	ემზე +17+26	ემზე +19+29	ემზე +19+31	ემზე +22+31	წვიმა +20+27

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ბეგი სიორიძის მიმართვა ოზურგეთელებს!



მადლობა ყველა ოზურგეთელს, ვინც თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და არჩევნების პირველ ტურზე მოვიდა. მადლობა, მათ, ვინც ნდობა გამომიცხადეთ და ამ ნდობის გამოხატულებაა ის, რომ ცამეტივე უბანზე მოვიგე არჩევნების პირველი ტური. ეს ჩემთვის დიდი პატივი და ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობაცაა. ასევე, მადლობა მათ, ვინც არჩევანი სხვა კანდიდატებზე გააკეთეს. სწორედ ამ ადამიანებმა დამფიქრეს, რომ რაღაც ჩემი წინასაარჩევნო კამპანიისას გამომეპარა, უფრო ყურადღებით უნდა მომესმინა ჩემი თანამოქალაქეებისთვის უფრო კარგად უნდა ამეხსნა, რატომ შეიძლება მანდონ ჩვენი ქალაქის მართვა.

ჩემო ოზურგეთელებო! მე გპირდებით მხოლოდ იმას, რის შესრულებასაც შევძლებ. შევძლებ თქვენთან ერთად და თქვენი თანადგომით. ამისთვის კიდევ ერთხელ მჭირდება თქვენი თანადგომა! თქვენი ნდობისა და მოქალაქეობრივი პოზიციის საარჩევნო ყუთებთან დაფიქირება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა შეცვალა ჩვენი რეალობა

თითოეულ ჩვენგანს მართლაც თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგვცა და ჩემთვის დიდი პატივია დემოკრატიულ, მართლაც ევროპული დონის არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

წინასაარჩევნო პერიოდმა კიდევ უფრო ნათლად დამანახა ის პრობლემები, რომელიც გვაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, ერთად მოვაგვარებთ. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება და თქვენი თანადგომა, ამის თქმის უფლებას მაძლევს.

ჩემი ღირსებისთვის მიუღებელია ვუპასუხო ან რაიმე რეაგირება მოვახდინო ჩემი ოპონენტის ცილისმწამებლურ ბრალდებებს.

მე ნამდვილად არ გპირდებით „უფასო ტრანსპორტს, უფასო ტანსაცმელს, უფასო უნივერსიტეტს, ვერც 10 000-იდან 50 000 ათასამდე უპროცენტო სესხს“, რაც შეუსრულებადია და მე ვერ მოგატყუებთ!

სავალოდ გპირდებით: არასდროს მოგატყუებთ! ბიუჯეტის თითოეული თეთრი ქალაქს მოხმარდება! ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები და თითოეულ თქვენგანს ღირსეულად არსებობის საშუალება მიეცეს!

მე ბიზნესიდან მოვდივარ და ვიცი რა რთულია, როცა სახელმწიფოს, ბიზნესისა და მოქალაქეების ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს. ბიზნესის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილები და ჩემი მოქალაქეები რომლებიც აღარ იქნებიან დამოკიდებულნი მხოლოდ სახელმწიფოს სოციალური დახმარების პროგრამებზე — ესეც ჩემი ერთ-ერთი დაპირებაა!

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, განსაკუთრებით ქალაქის წყალმომარაგება ჩემი პრიორიტეტი იქნება, იმიტომ, რომ ვიცი, რა მნიშვნელოვანი პრობლემაა ეს თქვენთვის.

ჩემი ყველაზე მთავარი მიზანი კი სოციალური პრობლემების გადაჭრა და ღირსეული სამუშაო ადგილების და საცხოვრებელი პირობების შექმნა იქნება თითოეული თქვენგანისთვის.

კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცხოვრების აღორძინება კი ერთად უნდა დავგეგმოთ და შევასრულოთ! ოზურგეთი ისევ ახალგაზრდული და წარმატებული ადამიანების ქალაქად, ანუ ჩვენი შვილების ქალაქად უნდა იქცეს!

გარწმუნებთ, არ დავკარგავ არცერთი გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც ჩემს ქალაქს აწუხებს!

ერთი რამ მინდა დარწმუნებით ვთქვა, რომ რისი გაკეთებაც არ უნდა მინდოდეს მთელი სულით და გულით, ყველაზე პატარა პრობლემაც კი, თქვენი ნდობისა და თანამონაწილეობის გარეშე შეუსრულებადია. მე ბევრი გეგმა და იდეა მაქვს, მათი ხორცშესხმა რთულია, მაგრამ თქვენთან ერთად, თქვენი თანადგომით, შეუძლებელს შევძლებთ!

ამ მიმართვაში ვერ ვისაუბრებ ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ჩვენს ქალაქს აქვს. მაგრამ ოზურგეთში ბევრი აუთვისებელი რესურსია, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, თქვენთან ერთად როგორ გადავწყვიტო ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გვაწუხებს.

დარწმუნებული ვარ, 12 ივლისს აუცილებლად მობრძანდებით არჩევნებზე და დაფიქსირებთ თქვენს პოზიციას. გახსოვდეთ, რომ თითოეული თქვენგანის ხმა იგებს! ხმა მიეცით მომავალს!

პრემიერა ოზურგეთის თეატრში

3 ივლისს ოზურგეთის დრამატულ თეატრში ახალი სპექტაკლის „იავნანამ რა ჰქმნა“ პრემიერა გაიმართა, რომლის რეჟისორიც არის კანდიდ გურგენიძე, მთავარ როლებში კი არიან ირაკლი ვადაჭკორია, ბელა კიკვაძე და ნინია ჯიჯიეშვილი. სპექტაკლის ბოლოს ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასო ჩიგოგიძემ მაყურებელს მადლობა გადაუხადა და კიდევ ბევრ სიახლეს დაჰპირდა. მან ჩვენთან საუბრისას ისიც აღნიშნა, სეზონი დაიხურება ივლისის ბოლოს ნოდარ დუმბაძის კვირეულით, შემდეგ კი 2 ახალ სპექტაკლზე იწყებს დასი მუშაობას, ასევე იგეგმება გასტროლები როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე მის გარეთაც. ასე რომ, მაყურებელს საკმაოდ საინტერესო სეზონი ელოდება. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით ახალი სპექტაკლის რეჟისორ **კანდიდ გურგენიძეს.**

—როგორ დაიბადა იდეა, რომ დაგედგათ სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა“?

—ეს ჩემი იდეა არ ყოფილა, ოზურგეთის დრამატული თეატრის ხელმძღვანელმა, ვასო ჩიგოგიძემ შემომთავაზა ერთად მუშაობა კონკრეტულად ამ პიესაზე და მეც დავთანხმდი.

—რამდენი ხანი მუშაობდით სპექტაკლზე?

—შეიძლება ითქვას, რომ თვე და სამი დღე, მაგრამ პროცესი ცოტა გაიწელა არჩევნების გამო, თუმცა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქვეყნისთვის, ჩვენ არ გავჯიუტებულვართ, დაველოდეთ არჩევნების პირველი ეტაპის დასრულებას და შემდეგ გამოვიტანეთ აუდიტორიისთვის.

—მოკლედ რომ მოგვიყვეთ, როგორი იყო მუშაობის პროცესი?

—ნებისმიერ სპექტაკლზე მუშაობა, თვითონ მუშაობის პროცესი არის ძალიან საინტერესო, რადგან ამ დროს ეძებ ახალს, საინტერესო მარცვალს, სწორედ ამ დროს ცდილობ, დაინახო პატარა ნიუანსები, შესაძლოა, თეორიულად თავიდანვე ბევრი რამ გქონდეს მოფიქრებული, მაგრამ როლი უნდა მოერგოს კონკრეტულ მსახიობს, მის შემოქმედებით შესაძლებლობებს, თორემ რეჟისორმა რომც მოიფიქრო რაღაც გენიალური და არაამქვეყნიურიც, თუ ვერ მოირგო იგი მსახიობმა, ყველაფერი უაზრო გამოვა... საერთოდ, ჩემი აზრით, მსახიობს არ უნდა აჰკიდო იმაზე მეტი ტვირთი, რის ტარებასაც ვერ შეძლებს. სპექტაკლზე მუშაობის პერიოდი ძალიან წააგავს ბავშვის ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესს. ორივე საკმაოდ რთულად გადასალახი მომენტია, არ იცი, რა უნდა, რა სტკივა, ეს შენით უნდა გაიგო, ამას შენ თვითონ უნდა მიხვდე... ჩემმა პედაგოგმა, უდიდესმა რეჟისორმა დოდო ალექსიძემ იცოდა ხოლმე თქმა: „მსახიობი როლით უნდა დაფეღმძიმდესო!“ ვფიქრობ, ეს არის გენიალური ფრაზა, მართლაც, გრამგრამობით, დღითიდღე გაიზარდოს და მივიღოთ საბოლოო სახე სპექტაკლისა...ასე რომ, ჩემთვის ეს პროცესი ყოველთვის საინტერესოა. ეს არის ძიების პროცესი.

—მუშაობის პროცესში რაიმე პრობლემას ხომ არ გადააწყდით, რომლის გადაჭრაზეც ბევრი ფიქრი დაგჭირდათ?

— პრობლემები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ რაღაც უსაშველო არა. ბევრ ფიქრს რაც შეეხება, ეს ყოველთვის გიწევს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, რამდენად სწორია, რამდენად მართალია. ზოგადად, პრობლემა რომ არ იყოს, პროცესი საინტერესოც არ იქნებოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არის სიახლის ძიება. შეიძლება უკვე კარგად მოფიქრებული, კონდიციამდე მიყვანილი მონაკვეთი პრემიერამდე ცოტა ხნით ადრე მთლიანად დაანგრიო და გადააკეთო.

—ოზურგეთის დასთან პირველად იმუშავეთ?

—არა, 1987 წელს ამავე თეტრში დავდგი სპექტაკლი „უკან მიდევნებული ლამპარი“.

—რა მოლოდინი გქონდათ და გაგიმართლდათ თუ არა ის?

—როცა მე პირველად დავდგი სპექტაკლი ამ თეტრში, მაშინ სულ სხვა თაობა იყო, ახლა ბევრი გარდაცვლილია, მე არ ვიცოდი, ვისთან მომიწევდა მუშაობა ახალ დასში, რომელშიც უმეტესობა ახალგაზრდაა, თუმცა მინდა ვთქვა, რომ რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ვასო, რომელიც ჩემი ჯგუფელია (ჩვენ ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში), ძალიან დამეხმარა როლების გადანაწილების დროს, ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია მუშაობის პროცესში. ამიტომ მე მინდა, ამ ყველაფრის გამო ვასოს, ჩემს მეგობარს, გადავუხადო მადლობა. შედეგზე, ვფიქრობ, მაყურებელმა უნდა ილაპარაკოს, მე ვერ ვიტყვი, ხომ იცით, რაც უნდა მახინჯი შვილი გყავდეს, მაინც გიყვარს, რადგან შენი სისხლი და ხორცია, ყოველი სპექტაკლი კი რეჟისორისთვის შვილივითაა. რეჟისორი ვერასდროს იქნება ობიექტური, ჩემი აზრით, როცა საქმე საკუთარ სპექტაკლს ეხება.

—სამომავლოდ ხომ არ აპირებთ ახალი სპექტაკლის დადგმას ისევ ოზურგეთის თეატრის დასთან ერთად?

—მაქვს შემოთავაზება და სავარაუდოდ შემდეგი წლისთვის, აპრილისთვის დავიწყებთ მუშაობას. პიესასთან დაკავშირებით რაღაც მოსაზრებები მაქვს, თუმცა ჯერ დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. იმედია, თანამშრომლობა გაგრძელდება.

ხატია ჭანიშვილი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

წმ. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის კონჭკათის ტაძარი პირვანდელ სახეს იბრუნებს

რამაზ ებრალიძე, „ქართუს“ სარესტავრაციო ფირმა „ტაო-ტბელის“ ხელმძღვანელი:- —ჩვენ საკმაო გამოცდილება გვაქვს ტაძრების აღდგენა-რესტავრაციისა. აქ მუშაობენ თერჯოლელი მშნებელ-რესტავრატორები ფრიდონ, გელა ხუჯაძეები, უჩა აბჟანდაძე, გოჩა გეწაძე, მურმან კახიძე, ვახტანგ კუტივაძე.

აქ სხვა სამუშაოებიც ჩატარდება. კერძოდ, ტაძრის გვერდით მდებარე საძვალეს საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდება და გადაიხურება. ეზოში აიგება სამრეკლო...

კოტე შარაშენიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი:— პირველი, რაც გავაკეთეთ მონასტერზე მისასვლელი გზა იყო. შემდეგ შუქი გავიყვანეთ, მამაოს დროებით საცხოვრისი დავუდგით. რამდენიმე დღეში მონასტრის გზის კრიტიკულ მონაკვეთებზე ასფალტბეტონის საფარს მოვაწყობთ....

სამომავლოდ აქ მამათა მონასტერი იქნება და ნიკა ანთაძემ სათანადო დავალებები მისცა საგენტოს სპეციალისტებს სათანადო ადგილის შესარჩევად და პროექტის შესადგენად.

გელა გორგილაძის გამოფენა ოზურგეთში

მარი კოძოევი

ოზურგეთის სამხატვრო გალერეა მხატვარ გელა გორგილაძის გრაფიკული ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. გამოფენა 26 ივნისს გაიხსნა. ნახატები გუაშში და აკვარელშია შესრულებული.

ავთანდილ თავართქილაძე: გელა დედით ოზურგეთელია. ჩვენ კურსელები ვართ. გელას აქვს თავისი ნიშა. როდესაც აკადემიაში ვსწავლობდით, მაშინაც ვაღიარებდი, რომ გელა არის ძალიან ნიჭიერი მხატვარი.

მხატვარმა გალერეას ორი ნახატი საჩუქრად გადასცა. გამოფენაზე აღინიშნა, რომ გამოფენილი ნახატები გაყიდვაშია.

გელა გორგილაძე ნახევრად გურულია და ბათუმში ცხოვრობს.

როგორც ავთანდილ თავართქილაძემ თქვა გალერეა მაყურებელთა სიმრავლით განებივრებულია. აღნიშნული გამოფენაც არ განიცდიდა დამთვალიერებელთა ნაკლებობას.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ოზურგეთლებო ვიყოთ ობიექტურები!

ნებისმიერი ადამიანის ობიექტური შეფასებისთვის მრავალგვარ კრიტერიუმთა შორის, ერთ-ერთი უპირველესი გახლავთ ის ფაქტორი, თუ ვისი შთამომავალია იგი, ვინ არიან და ვინ იყვნენ მისი მშობლები, ბებიები, ბაბუები, რასაც აშკარად ადასტურებს ცნობილი ხალხური გამონათქვამი: „დედა ნახე, მამა ნახე....“

ამიტომაც სავსებით ლოგიკური იქნება, თუ ოზურგეთის მერობის კანდიდატის, ბატონი შოთა გოგიბერიძის შეფასებისას სწორედ მისი წინაპრების დახასიათებით დავიწყებთ.

მისი ბაბუა და სეხნია შოთა გოგიბერიძე არამარტო გურიის და სრულიად საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში დიდი კაცის სახელით ცნობილი პიროვნება იყო. იგი მეორე მსოფლიო ომის გმირებთან კოვპაკთან და ბაქრაძესთან ერთად, ერთ-ერთი ათასეულის მეთაურის რანგში იბრძოდა და ბელორუსიის განთავისუფლების შემდეგ დაინიშნა ლიპეცკის უდიდესი ეთერზეთოვანი ქარხნის დირექტორად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წარმატებით მუშაობდა „კონსერვტრესტის“ მმართველად, ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სატრანსპორტო გაერთიანების დირექტორად... დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, ანუ აბსოლუტურად უნივერსალური და სრულყოფილი ადამიანი.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი ქალაქის მერობის კანდიდატის მამაზე, ბატონ გურამ გოგიბერიძეზე, რომელსაც წარმატებით უმუშავია მაღაროთა სამმართველოს ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, თხინვალისა და ნატანების ჩაის ფაბრიკების დირექტორად, კურორტ ურეკის დირექტორად და დაბა ურეკის პირველ გამგებლად. მეუღლე –ქალბატონი ვალენტინა არობელიძე მთელი ორმოცი წლის მანძილზე ურეკის ციტრუსების მეურნეობის საგეგმო განყოფილების წარმატებული ხელმძღვანელი, ასევე არაერთი ორდენითა და მედლით დაჯილდოებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ დღეს ჩვენი ქალაქის მერობის კანდიდატი ბატონი შოთაც საზოგადოების ფართო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობდა ჯერ ოზურგეთის გამგებლის პირველ მოადგილედ, შემდეგ კი პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ასევე აფხაზეთის ომის ვეტერანია. არის სამაგალითო მამა, მეუღლე, ოჯახის თავკაცი. ჰყავს ქართველი ქალის ყველა ღირსებით დაჯილდოებული მეუღლე, მაღალპროფესიონალი ექიმი, ქალბატონი მაკა გოგუაძე და სანიმუშოდ აღზრდილი შვილები, მოსიყვარულე ძმა და რძალი, რომლებიც ასევე ექიმები არიან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი შოთა თავიდანვე გამოირჩეოდა მაღალორგანიზატორული ნიჭითა და ლიდერისათვის აუცილებელი ყველა თვისებით.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაში (თუმცა, როგორც ჩვენში არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე, ხელისუფლებამ სათანადოდ არ დაუფასა თავდადება), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბატონი შოთა ჩვენს საზოგადოებაში დამსახურებული დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ახლანდელი არჩევნების მეორე ტურში გავიდა.

გვსურს შევახსენოთ ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ საქართველოში არსებული ობიექტურ-სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული პრობლემის პირობებში, ჩვენს ქალაქს სწორედ ისეთი პიროვნება ესაჭიროება მერად, როგორიც ბატონი შოთა გოგიბერიძეა –საღად მოაზროვნე, პრინციპული და რაც მთავარია, პატიოსანი.

მაშ დავუჭიროთ მხარი ამ ღირსეულ ადამიანს და ამით საკუთარი წვლილიც შევიტანოთ ოზურგეთის აღმშენებლობის საქმეში.

ძვირფასო თანამოქალაქენო, მიეცით ხმა ბატონ შოთა გოგიბერიძეს!

საღად მოაზროვნე ოზურგეთლების სახელით,

როლანდ თავაძე,
გრამიტო (გერმანე) მამინაიშვილი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ღვაწლით და დამსახურებით გამორჩეული

ცხოვრების გზას, დასაწყისიდან მოყოლებული, წლები თავის კვალს აჩნევს და თავად წლებს კვალდაკვალ მოჰყვება ღვწა ადამიანისა, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ, იმ საზოგადოების გონებაშიც იდებს ბინას, სადაც ის ცხოვრობს.

ქალბატონი როზა გოგუაძე ერთი იმათგანია, ვისზეც თამამად შეიძლება ითქვას საქმით და დამსახურებით გამორჩეული. განათლების სისტემაში ადრიდანვე ჩართულს, ბევრი კარგი საქმე უკეთებია და მოსწავლეთა თუ პედაგოგთა დიდი არმიის გვერდით მდგომი, დღესაც ჩვეული ენერგიით აგრძელებს თანადგომას. მაშინ იცავდა პედაგოგთა უფლებებს, როცა ეს განსაკუთრებით ძნელი და საშიში იყო. ამიტომაც ღიმილით ამბობენ პედაგოგები, „ქალბატონი როზა გვყავდეს კარგად, ჩვენს სათქმელს ახლაც ის იტყვისო.“ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქ-ნი როზა ყოველთვის ამბობდა და ამბობს თავის კომპეტენტურ სიტყვას განათლების სფეროში, რომელიც ესოდენ სჭირდება სკოლას, საზოგადოებას.

ხელმძღვანელისთვის აუცილებელი თვისებები – პრინციპულობა, მტკიცე ხასიათი, მომთხოვნელობა, არ უშლის ხელს იყოს მეგობარი, რადგან ყოველივე ამას ტაქტიანად უთავსებს გულისხმიერებას. ამიტომაც ვუწოდებთ მას მეგობარს.

კარგი დედა და ბებია, თავის საქმესაც კარგად უძღვება.

დასაწყისში წლები ვახსენეთ, ქ-ნი როზა იუბილარია.

გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ ქ-ნო როზა. კვლავაც ბევრი წელი მიგეთვალოთ თქვენი ცხოვრების გზაზე და ამ წლებსაც კვლავ კვალად მოჰყოლოდეს თქვენს მიერ დაგეგმილი ბევრი სასიკეთო საქმის განხორციელება.

მეგობრები.

ქალბატონ როზა გოგუაძეს

ქართველი ქალებით, დედებით ყოველთვის ამყობდა ქართველი ერი. ქართული საზოგადოება, სრულიად საქართველო. „ნეტავ იმ ერს, ვისაც კარგი დედა ჰყავს“ – არაერთხელ უთქვამს დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს.

„ბევრად სჯობია სიკვდილი, ლამაზი დედის წყენასა“ – ამბობდა ვაჟა ფშაველა.

საქართველო, რომელიც მუდამ განიცდიდა უცხოელთა შემოსევებს, ასეთმა ქალბატონებმა გადაარჩინეს და დღემდე მოიყვანეს. სწორედ ასეთ ქალბატონებს მიეკუთვნებით თქვენ, რომელმაც უმწიკვლო მოღვაწეობით მტკიცედ დაიკავიდრა ადგილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულ ქალბატონთა შორის.

მუხედავად დიდი ტრავმისა, რომ ახალგაზრდულ ასაკში გარდაგეცვალათ თქვენი საყვარელი, ერთგული მეუღლე, ბატონი გოდერძი შარაშენიძე, სულიერად არ დაცემულხართ და მრავალი წელია მტკიცედ დგახართ ერთ-ერთი უფაქიზესი დარგის განათლების სადარაჯოზე. მასწავლებლის, როგორც ჩვენი მომავალი თაობის აღმზრდელის დიდი ქომაგი და თავგამოდებული დამცველი, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების დამსახურებული ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორის დავით გოგუაძის შვილი და მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საქმეების შემსრულებლის კონსტანტინე შარაშენიძის დედა, კვლავაც იღვწით კეთილი საქმეებისთვის.

ქ-ნო როზა, გილოცავთ დაბადების დღეს და საყვარელ ოჯახთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, კვლავ ახალ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

პატივისცემით, **ამირან მამულაიშვილი.**

მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს!

საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში უკანასკნელი სამი თვის მანძილზე ფულადი სოციალური დახმარების აღდგენის თხოვნით, ხუთმა მოქალაქემ მიმართა. ზვიად კვაჭანტირაძემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა ამ მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების აღდგენის ან დანიშვნის მოთხოვნით. საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის დახმარებით, სამ ოჯახს დაენიშნა ფულადი სოციალური დახმარება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ოფიციალური წერილი მათთვის დახმარების დანიშვნის თაობაზე უკვე მიიღეთს. ორ მათგანზე პასუხს უახლოეს დღეებში ვლოდებიან.

მოქალაქეთა პრობლემების კონფიდენციალურობიდან გამომდინარე მსგავსი შემთხვევების გასაჯაროებისაგან ბიურო თავს ვიკავებს, მაგრამ ამჯერად სწორედ ამ მოქალაქეების თხოვნით მათი ვინაობა სახელდება.. რათა მათ დეპუტატს საჯაროდ, თანადგომისათვის მადლობა გადაუხადონ.

ნატანებელ მარინა მანჯავიძეს ავადმყოფი მეუღლე ჰყავს. მისი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ 80 ლარია, რომელსაც იგი სკოლის დალაგებისათვის ჯამაგირის სახით იღებს. მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით შეწუხებული ბიუროში მივიდა და დეპურატთან შეხვედრა იმის გამო ითხოვა, ი რომ სოციალური დახმარების დანიშვნაში დახმარებოდა, რათა ავადმყოფისათვის მედიკამენტების შეძენა შეძლებოდა. მას საჭირო საბუთების შეგროვება სთხოვეს. ბატონმა ზვიადმა გულთან მიიტანა მისი საკითხი და მარინა მანჯავიძეს პრობლემა დეპუტატთან უშუალო შეხვედრის გარეშე მოუგვარდა.

ძიმითელი გოგა ხურციძე წვრილშვილიანია. უმცროსი ბავშვი 9 თვისაა. ახალგაზრდა ოჯახი შეჭირვებულად ცხოვრობს.სოფლის რწმუნებულმა ქალბატონმა მზია სალუქვაძემ დაადასტურა ამ ოჯახის სიდუხჭირე და შეძლებისდაგვარად დახმარების გაწევაში გაუწია რეკომენდაცია. გოგა ხურციძე ფულად სოციალურ დახმარებას აგვისტოს თვიდან მიიღებს.

ოზურგეთელი დარეჯან წიტაიშვილი უსახლკაროა. იგი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს შვილთან და შვილიშვილთან ერთად. სამსულიანი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ დარეჯანის პენსიაა. აქამდე მას სოციალურ დახმარებას მარტო იმიტომ არ უნიშნავდნენ, რომ კეთილმა ნათესავმა მცირე ზომის პლაზმური ტელევიზორი აჩუქა. მაჟორიტარი დეპუტატის უშუალო ჩარევით მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა და მისთვის ფულადი დახმარების დანიშვნა.

საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობით ორ ოზურგეთელ ახალგაზრდას ნინო ქათამიძესა და გურამ კალანდაძეს კერძო კლინიკაში თვალის ოპერაცია დაუფინანსდა.

თითოეული ზემოთხსენებული მოქალაქე გულისხმიერებისათვის დიდ მადლობას უხდის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს!

წიგნის ზეიმზე

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ზინა სალუქვაძის ინიციატივით წიგნის ზეიმი გაიმართა. მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ადგილობრივი მწერლები, პოეტები, წიგნების ავტორები.

სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი შემოქმედება აჩვენეს სტუმრებს.

მოსწავლეთა ტურნირზე ჭადრაკში

4 ივლისს, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში საინტერესო საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლისა და ჩოხატაურის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები.

უაღრესად საინტერესო შეჯიბრში საერთო ანგარიშით 20,5 : 19,5 გაიმარჯვეს ოზურგეთელმა მოჭადრაკეებმა.

დაფების მიხედვით, ოზურგეთიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: **ლაზარე შანიძე, ზურაბ ანდღულაძე, ქრისტინე მამალაძე, გუგა კილაძე; ჩოხატაურიდან: ლუკა ქორიძე, ანანო ჯაყელი, სბა თავართქილაძე, დიმიტრი სიხარულიძე.**

თანაბარი შედეგები ჰქონდათ: **ანა მეგრელაძის** (ოზურგეთი) და **მიშა ჩხიკვაძის** (ჩოხატაური), **ლუკა ღლონტისა** (ოზურგეთი) და **გივი მდინარაძის** (ჩოხატაური) წყვილებს.

როგორც გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ზურაბ ანდღულაძემ** აღნიშნა, ამ ტურნირის წარმატებით ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩოხატაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს **შორენა კეკელიძეს,** მწვრთნელებს **გივი ქორიძეს, ზურაბ კობიძეს, ნუგზარ მგელაძეს** (ჩოხატაური) და ოზურგეთელ მოსწავლეთა მწვრთნელს **ელგუჯა ურუშაძეს.**

ზურაბ ანდღულაძემ გაზეთ „ალიონთან“ სიახლეებზეც ისაუბრა. მომავლიდან საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია კლუბების ჩემპიონატებს გამართავს.

ეპიდსიტუაციის პროგნოზი 2014 წლის ზაფხულის თვეებისათვის

პროგნოზი იმუნიზაციით მართვადი ინფექციების მხრივ (რომელთა წინააღმდეგ არსებობს ეფექტური ვაქცინები და ქვეყანაში ტარდება რუტინული იმუნიზაცია) დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, ყბაყურა, ჰეპატიტი ბავშვებში - კეთილსაიმედოა. პოლიომიელიტის ადგილობრივი შემთხვევები არ უნდა აღმოცენდეს, შესაძლებელია დიფთერიის ერთეული შემთხვევების გამოვლენა, სავარაუდოა ყივანახველას ათეულამდე შემთხვევა, მათ შორის დასასვენებელ ადგილებში ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივებში მოხვედრილ აუცრელ მოზარდებს შორის. ამიტომაც ბავშვთა დასასვენებელი ბანაკების დაკომპლექტებისას ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა აცრის სტატუსს (ასაკის მიხედვით). აუცრელი ბავშვების დაშვება ახალ კოლექტივებში მიზანშეუწონელია.

ბავშვებში წითელას შემთხვევების მინიმუმადე დაყვანის ფონზე, ავადობა, სამწუხაროდ, გაგრძელდება იმ მოზარდებში და მოზრდილებში, რომლებიც თავის დროზე არ ყოფილან აცრილები, ან ერთხელ არიან აცრილები, ასეთ კონტინგენტებში შესაძლებელია ლოკალური ეპიდაფეთქებებიც. ამიტომ აუცილებელია ყველა წითელა-წითურა-ყბაყურაზე აუცრელი ბავშვის აცრა, რომელიც ხორციელდება შესაბამისი პროგრამით სახელმწიფოს დაფინანსებით.

აფრიკაში და მცირე აზიაში პოლიომიელიტის ეპიდაფეთქებებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ შეგახსენებ მშობლებს პოლიომიელიტის აცრების აუცილებლობის შესახებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიომიელიტის ვირუსის გადაცემის გზა (ფეკალურ-ორალური) იგივეა, რაც ენტეროვირუსული მენინგიტის, რომლის ამჟამინდელი ეპიდაფეთქება მართალია უკვე კონტროლირებადია, მაგრამ ერთეული შემთხვევები მთელი ზაფხულის განმავლობაშია მოსალოდნელი.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მცირე დაგუბებულ წყალსატევებში ბავშვების ბანაობისას. ბავშვები უნდა მოვარიდოთ ასეთი წყლის ჩაყლაპვას და მკაცრად დავიცვათ ჰიგიენის წესები.

მოსალოდნელია მენინგოკოკური (ბაქტერიული) ერთეული შემთხვევებიც.

გარემოს ტემპერატურის მატების ფონზე იქნება ხელსაყრელი პირობები ბევრი გადამდები დაავადების გავრცელებისათვის, მათ შორის მალარიის გამომწვევის განვითარების ციკლის დამთავრებისათვის კოღოს (გადამტანის) ორგანიზმში, ასევე ლეიშმანიოზის გადამტანის (ფლებოტომუსების) აქტიურობისათვის. ამის გამო ინფექციის წყაროს (რეზერვუარის) არსებობის პირობებში მოსალოდნელია მალარიის (ქვეყანაში შემოტანის შემთხვევაში) ერთეული და ლეიშმანიოზის რამდენიმე ათეული შემთხვევა. მალარიის დაბალი რისკია კახეთის და ქვემო ქართლის რაიონებში, ლეიშმანიოზის დაბალი და საშუალო რისკია იგივე რაიონებში და ქ. თბილისში (ლეიშმანიოზის რეზერვუარი ბუნებაში ავადმყოფი ძაღლებია). პროფილაქტიკისათვის აუცილებელია გადამტანებისაგან თავის დაცვა, განსაკუთრებით შებინდებისას, როდესაც გადამტანები მეტად აქტიური არიან (ფანჯრების აბადვა, გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი, რეპელენტების (დამფრთხობლები) წასმა სხეულის ღია ადგილებზე. მსგავსი წესები უნდა დავიცვათ ტკიპებისაგან თავის დასაცავად, დამატებით, ბუნებაში ყოფნისას სასურველია ვატაროთ წინდებში ჩატანებული შარვალი. ტკიპებს ბევრი საშიში დაავადება გადააქვთ, მათ შორის ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებაც, ამიტომ დაუშვებელია ცხოველებიდან ტკიპების მოშორება დაუცველი ხელებით.

ასევე გარემოს ტემპერატურის მატებასთან, მოსახლეობის ხშირ გასვლებთან ბუნებაში, საბანაოდ, პირადი ჰიგიენის წესების, საჭმლის მომზადებისა და შენახვის წესების დაუცველობასთან დაკავშირებულია საკვებითა და წყლით გადაცემადი ინფექციების (შიგელოზი, სალმონელოზი, დიარეით მიმდინარე სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებები).

ლეპტოსპიროზის შემთხვევების მოსალოდნელი მატება წინა თვეებთან შედარებით მოსალოდნელია ივლისგვისტოში 30-40%ით. არაა გამორიცხული ეპიდაფეთქებებიც, როგორც საყოფაცხოვრებო (ოჯახური), ასევე (წყალსადენისა და კანალიზაციის თანმხვედრი დაზიანებებისას, წყლის წყვეტილად მიწოდების შემთხვევებში) ლოკალურად, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია პირადი ჰიგიენის, საჭმლის მომზადების და შენახვის წესების ზედმიწევნით დაცვა, არაცენტრალიზებული წყალსადენების (რომლებიც არ იქლორება) და წყლის წყვეტილად მიწოდების შემთხვევაში სასმელად მხოლოდ გადადუღებული წყლის გამოყენება (განსაკუთრებით ბავშვებისათვის.)

ზაფხულის პერიოდში იზრდება რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება. გაითვალისწინეთ, რომ რძის მოხმარება თერმული დამუშავების (წამოდუღების) გარეშე დაუშვებელია.

ზაფხულში მატულობს სხვადასხვა ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) მიერ ადამიანთა დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის შემთხვევები. ცოფის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საკუთრებაში მყოფი და მიკედლებული ცხოველების ცოფზე აცრა, მოხეტიალე ცხოველების პოპულაციის რეგულირება, დაზიანებისას ექიმ-რაბიოლოგთან მიმართვა ვაქცინაციის აუცილებლობის საკითხის გადასწყვეტად.

ბალახის ხმობის პერიოდში (ჩვეულებრივ აგვისტოში) მატულობს ცხოველების ჯილეხით დაავადების ალბათობა და შესაბამისად ადამიანთა დასენიანების საფრთხეც. განსაკუთრებული რისკის ზონებია ქვემო ქართლი, გარე კახეთი, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონები. აუცილებელია შინაური ცხოველების დროული აცრა, ცხოველების დაკვლა ვეტერინარული მეთვალყურეობის ქვეშ, კატეგორიულად დაუშვებელია დაცემული ან/და ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავება. ჯილეხით დაავადების მაღალი რისკის ჯგუფი სწორედ ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავებაში მონაწილე პირებია.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კორონავირუსის (**MERS-cov**) ქვეყანაში შემოტანის რისკი დაბალია, სიფრთხილე მართებთ არაბეთის ნახევარკუნძულიდან ჩამოსულებს, სადაც დაავადება აღინიშნება, განსაკუთრებით მომლოცველებს უმრასა და ჰაჯის დროს. გრიპის სიმპტომებისას უნდა გაიკეთონ ნიღაბი და მიმართონ სამედიცინო სამსახურებს, მათმა ახლობლებმა კი ხშირად დაიბანონ ხელები.

ხელების ხშირი დაბანა დაგვიცავს მრავალი დაავადებისგან.

ზაფხულის ბოლოსთვის, ბავშვების სასკოლოდ მოსამზადებლად, აუცილებელია მათი აცრის სტატუსის კიდევ ერთხელ გადამოწმება და ასაკობრივად გამორჩენილი აცრების სკოლაში შეყვანამდე ჩატარება.

წლის თბილ პერიოდებში, მარტის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე მოსახლეობისთის გარკვეულ ხიფათს წარმოადგენენ საქართველოში გავრცელებული შხამიანი გველები (გველგესლები), რომელთაგან ყველაზე შხამიანია გიურზა. ის ბინადრობს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: შირაქში, გარეჯის უდაბნოში, თბილისისა და რუსთავის მიდამოებში. გიურზა სანადიროდ უმთავრესად ღამით გამოდის, მაგრამ გაზაფხულზე დღისითაც შეიძლება შეგვხვდეს. გიურზას შხამი მომაკვდინებელია. დაგესვლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა:

* ადამიანმა ჩაიცვას მაღალი ჩექმა ან მაღალყელიანი ფეხსაცმელი და ე.წ. დამცავი შარვალი;
* ბალახიან ადგილებში სიარულისას თან იქონიოს გრძელი ჯოხი, ასევე თავი უნდა მოარიდოს თივის ზვინებთან, მინდორში, ტყეში და ქვიან ადგილებში ყოფნას ჩექმისა და დამცავი შარვლის გარეშე;
* ეზოები და სახლის მიმდებარე ტერიტორიები მუდმივად იქონიეთ ბალახისგან გასუფთავებული (გათიბული);
* გველისგან დაკბენის შემთხვევაში ნაკბენის ადგილზე ხელით აიღეთ კანი ფართოდ, ნაოჭებით და ხელის მოძრობით "გამოწველეთ" კანი;
* ჭრილობა "პირს დააღებს" და დაიწყებს გამოსვლას სისხლნარევი სითხე - ლიმფა, ნაკბენი ადგილი სპირტით ან იოდით დაამუშავეთ;

მოახდინეთ კიდურის იმობილიზაცია: დააფიქსირეთ ნაკბენი კიდური არტაშანის მსგავსი სახელდახელო საშუალებით (ხის ტოტი, ღობის ფიცარი და სხვ) ორი სახსარის დონეზე და ავადმყოფი სასწრაფოდ მიიყვანეთ უახლოეს საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდება ადექვატური მკურნალობა.

არჩილ მჭავია

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზჯანდაცვის დეპარტამენტის გურიის განყოფილების უფროსი

იყიდება

3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა მრავალბინიანი სახლის მე-2 სართულზე, ავტოფარეხით. მისამართი: ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №11, ტელ. (599) 32 98 19.

ლია ჭათამიძის ხსოვნას

გეფერება და მარადიულ სასუფეველში გადანაცვლებულს, დაბადების დღეს გილოცავს შენი მეგობრები. საფინანსო-საბუღალტრო სამსახური, სადაც პატარა, ლამაზი გოგონა მოხვედი და ერთ-ერთ უძლიერეს ფინანსისტად ჩამოყალიბდი. ეს იყო შენი მეორე სახლი, სადაც მთელ გულს დებდი, ამიტომაც გეასხდნენ ხუმრობით „ბიუჯეტის დედოფალს“.

დაუჯერებელი და ელდასავით იყო შენი ამბავი. ვერ გაგვიგია, რა მოხდა, როგორ დაგამარცხა სიკვდილმა, შენ ხომ ძალიან ძლიერი იყავი.... ზეიმივით ელოდებოდი შენი ლიზის სკოლაში წასვლას....

უფალმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მეგობრები

რევაზ ბაბილოძის ხსოვნას



40 ტკივილით სავსე დღე გავიდა ცრემლებსა და სევდაში.

40 დღე უდიდესი ტკივილის განცდით.

მხოლოდ ოროცი დღე და ეს უკვე ორმოც საუკუნეს უტოლდება უშენოდ. დრო და წამი ვერაფერს ვერ ცვლის და ვერც ტკივილს კურნავს. ეგ მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც უნუგეშოდ, სასოწარკვეთილებისთვის დაგვრჩენია.

უშენოდ ყველაფერმა ფერი იცვალა, ყველაფერმა დაკარგა ფასი, სიცოცხლემაც კი.

გვიჭირს, უსაშველოდ გვაკლიხარ. ვეძებთ იმედს, ვეძებთ შენ, მაგრამ ამაოდ.

დღემდე ყურში ჩამესმის შენი ხმა, მიჭირს აღიარება, რომ მხოლოდ მოგონება დაგვრჩა შენზე.

მოგონება და შენი სუფთა, ალალ-მართალი ადამიანობა, რომლითაც მთელი ცხოვრება იცხოვრე.

ჩვენ შენს მეუღლეს, შვილებს, რძალს, შვილიშვილებს და ახლობლებს ის ვერ გავიმედებს, რომ უსაზღვრო ცრემლი გაიყოლე და ტკივილი. ჩვენ შენ გვჭირდები და გვენატრები.

ჩვენ ვამყობთ, რომ შენი შვილები და შვილიშვილები გვქვია.

არც ის არის ჩვენი იმედი, რომ უფალს კარგები უნდა.

ყველაზე მეტად შენს საფლავთან მახლოება მაშინებს, ეგ ხომ შენი გარდაცვალების საკუთარ თავთან აღიარებაა.

დრო გადის, დღე დღეს მისდევს. ჩვენ კი შენს სურათებთან ერთად შენი სახელი და შენზე მოგონებები რჩება მხოლოდ.

გვენატრები, ტკივილით, სევდით და უსაზღვრო სიყვარულით.

შენი სახელი უკვდავია. ის შენს პატარა რეზიკოში განმეორდება.

გვიყვარხარ.

ოჯახი

გია სარჯველაძის მოგონება

მეათედ მოდის შენი გარდაცვალების დღე — 12 ივლისი.

ერთადერთი შვილის დაკარგვით, სიბრალულით დამძიმებული, დფლეთილი, დგლეჯილი გული, უშენოდ გატარებული 10 წელი —ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობს შვილო —გია.

მრცხვენია, ამ ქვეყანაზე უშენოდ როგორ ვარ. ყველაფრამდის ბედ-მიმწვარი სიკვდილშიც უიღბლო დავრჩი. როგორ არ მოდის აღსარული, რომ წამოვიდე შენთან, ჩაგეხუტო, მოგეფერო, მონატრებულო შვილო.

ჩემი საბრალო, სიცოცხლეს მონატრებულო, იცოდი, მოურჩენელი სენი რომ გჭირდა და ყველას ევედრებოდი თურმე, დედამ არ გაიგოსო. შენს მეუღლეს, შვილს, დაგვიტოვე დიდი სევდა. მოურჩენელი, მძიმე ოჯახისთვის ასეთი ხვედრი —ტკივილიანი, დარდიანი, რომელსაც 10 წელია ვატარებთ. შენ უნდა წერდე ჩემს მოსაგონარს. შენ ჩემი სუნთქვა იყავ —შენ ჩემი სიცოცხლე იყავი. უშენოდ როგორ ვძლებ ჩემი დიდი სევდავ, როდის დადგება ის დღე, რომ წამოვიდე შენთან.

იძინე მშვიდად, გიორგი ბებუასთან, ლუბა ბებოსთან —ციურისთან, რობერტისთან —იურასა და სერგოსთან, კვიროსი, გოგუცა, მარგალიტა, სიმონა ბებუა-ბებიებთან ერთად.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს თქვენს კეთილ სულებს.

შენი ტანჯული დედა
იზო ქარჩილაძე.

შვილები ნატო და მურთაზი, შვილიშვილები ზაზა, გია, ნატალია, ბორისი. შვილთაშვილები გიორგი, ნატუსა და ნანუკა. რძლები ნანა ხუხუნაიშვილი, მარინა გარდიევა, ეკა გოგიაშვილი იუწყებიან

ციალა ცინცაძე-ფოცხიშვილის გარდაცვალებას

პანაშვიდი ორშაბათს, 7 ივლისს 6 საათზე, დაკრძალვა სამშაბათს, 8 ივლისს, 16 საათზე.

საქართველოს პარლამენტის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბიუროს კოორდინატორს მურთაზ ფოცხიშვილს დედის **ციალა ცინცაძე-ფოცხიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს კოორდინატორს მურთაზ ფოცხიშვილს დედის **ციალა ცინცაძე-ფოცხიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ლამზირა გიორგაძეს უსაყვარლესი შვილის, **ზაზას** გარდაცვალების გამო.

გულსუნდა მახარაძე იუწყება ბიძაშვილის, **რუსიკო მახარაძე-კახიანის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა **გია გოგოლაძე**